





ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ვირტუალური ზონა

- სტატუსის მიღება მარტივი და მოქნილი პროცედურით
- მნიშვნელოვანი საგადასახადო შედეგათები
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება
- ტექნოლოგიური ბიზნესის ხელშეწყობა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ახალი მომსახურება

საქართველოს მთავრობამ საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს წახალისების სტრატეგიის ფარგლებში მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა, რაც გულისხმობს ვირტუალური ზონის პირის სტატუსის შემოღებას. საინფორმაციო ტექნოლოგიური ვირტუალური ზონის პირის სტატუსის კანდიდატი 48 საათის განმავლობაში მიიღებს პასუხს სარეგისტრაციო მოთხოვნაზე, რის შემდეგაც მას გადაეცემა ელექტრონული სერტიფიკატი.



სტატუსი საინფორმაციო ტექნოლოგიურ ბიზნესს ათავისუფლებს მოგების, დამატებული ღირებულებისა და ექსპორტის გადასახადისაგან ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილი პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტებზე. ეს თავის მხრივ, გაზრდის ბიზნესში დარჩენილ თანხებს და საშუალებას მისცემს მეწარმეებს მეტი ინვესტიცია ჩადონ განვითარებასა და კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. უცხოურ კომპანიებისათვის აღნიშნული კანონი დამატებით სტიმულს შექმნის ბიზნესის საქართველოში წარმოებისათვის, რადგან ხარჯების შემცირება კონკურენტებთან შედარებით გაზრდის მათ უპირატესობებს.



ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ვირტუალური ზონა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა IT ორგანიზაციებისთვის ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების უფლება მოიპოვა.

აღნიშნული უფლება საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 დეკემბრის №4064-რს ბრძანებით, საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1-ლი თებერვლის დადგენილებით რეგულირდება.

საკანონმდებლო აქტების მიზანია ინვესტიციების მოზიდვა და მიმზიდველი გარემოს შექმნა იმ პირებისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ახორციელებენ.

სტატუსის მოპოვება ხდება მარტივი და მოქნილი პროცედურით განაცხადის გაკეთებიდან 48 საათის განმავლობაში

სტატუსის მიღებისთვის საჭიროა უმარტივესი, ერთსაფეხურიანი პროცედურის გავლა. კერძოდ, დაინტერესებულმა იურიდიულმა პირმა განაცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს.

ვირტუალური ზონის პირის სტატუსი მნიშვნელოვან საგადახადო შეღავათებს ითვალისწინებს

კერძოდ, არ დაიბეგრება:

- ა) საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება;
- ბ) საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით;
- გ) საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გატანა ექსპორტის გადასახდელით.


ვირტუალური ზონის პირს საქმიანობის განსახორციელებლად არ ესაჭიროება ლიცენზიები, ნებართვები და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები

ახალი სერვისით სარგებლობა შეგიძლიათ ონლაინ რეჟიმში.

გთხოვთ ეწვიოთ საქართველოს სამთავრობო ელექტრონული რესურსების ვებ პორტალს - www.e-government.ge

ან

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდს - www.mof.ge



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის 2
თბილისი, 0102 საქართველო
ტელ: (+995 32) 91 51 40 (106)
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო



www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს
საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ
გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე:
info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ
საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ
გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება
მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ
“Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული
ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge